სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თფილისში	გაუგზავნელთა:
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა—3 —	— 2 მ. —
სამი თვისა —1 მ.	— 1 მ. —

მესუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამს. (დუბელირის) სტამბაში, სეგოეევის ქუჩაზე, ბატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 15 შაბათი — V — 15 აგვისტო, 1872 წ.

შინაარსი:

სასოფლო სასამართლოებს.—ჩვენი სოფლის ცხოვრებიდამ.—«დროების» კორრესპონდენცია: შორაპნიდამ.—ქაზაოვიდამ.—ოკიბრიდამ.—ძველოვის ბოლიტეესნიკური კამოეესა.—სამეცნიერო ნაწილი.—ტფილისის ერთმანეთის ნდობის საზოგადოების წესდებულება—წერილი ამუაი.—კურძოობითი კანცელარიები.—

სასოფლო სასამართლოებს.

ამას წინათ «სასოფლო-გაზეთში» იყო დაბეჭდილი ორი სტატია სახელად «ოქროს მარანი», რომელშიაც იყო დაწერილებით აწერილი ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა უფულობისაგან; იქვე იყო ნაჩვენები, რა მოეხერხება ამ გაჭირვებას. რუსეთში ათის წლის წინათ იწყეს ამ საგანზე ფიქრი და ახლა ოცდა ათგან არის ამხანაგობა შემდგარი სესხის მოსაპოებლათ. ყოველს ამხანაგობაში არის უკანასკნელი ასი მოსახლე, ყოველს ამ ასს და ზოგგან მეტს მოსახლეს ეთრმანერთში აქვთ პირობა შეკრული და მთავრობის წინაშე თანდებობენ საერთოდ ფალის სესხებას იმისგან და საერთოდ გადახდასაც. იმათ კიდეც აუღიათ სესხათ მთავრობისაგან ფული და შეუდგენიათ საამხანაგო თაენები, რომლითგანაც დაპირებაზე ყოველს მოამხანაგე გლეხს გამოაქვს სესხათ ფული ექვსი თვის ვადით. აქ ყოველს გლეხს თუმანი თვეში ორშაურის სარგებლით უჯდება და ამ ორ შაურისაგან შაურს ხაზინიდგან აღებულს ვალში აძლევს დანაშთენი კი თვითონვე იმ გლეხის წილათ ჰგროვდება საამხანაზო თაენში. ამას გარდა ყოველს გლეხს საკუთარი საგლეხო თაენის შესაძღვენათ თაენში სამი შაური შეაქვს და ამ სამ-სამშაურობიდგან რაც თაენი გროვდება, ის სულ საგლეხო თაენათ იქნება და იმდენი როცა მოგროვდება, რამდენიც ხაზინიდგან უსესხნიათ, მაშინ ხაზინას თაენის ფულს უბრუნებენ და საკუთარი საგლეხო თაენი ხალში რჩებათ. ამ სახით რუსეთში რომელ საზოგადოებაშიაც საამხანაგო თაენები გაუმართავთ, იქ ახლაც შეუნიშნავთ, რომ გლეხი თან და თან კეთილ მდგომარეობაში თურმე შედის სახელმწიფო ხარჯს ადვილათ და თაენის დროზე იხდის, შინ ოჯახობაშიაც ეტყობა უფრო სუფთათ ცხოვრება, შვილის შკოლაში გაზდის ღონე ეძლევა და ამნაირათ იმის ცხოვრება თან და თან წინ მიდის. მიუცილებლათ ჩვენც, ჩვენმა სოფლობამაც უნდა მოჰკიდოს ამნაირ საქმეს ხელი, თუ უნდათ წერილს მოვაპრეებს თავი დაახწიონ და მთელი თავის მოგება სულ იმათ არ აძლიონ ვალში და ეახჩნი, თუ უნდათ, რომ თავის მიწა წყალი გამოიხსნან გირაოდგან და წინ წასწიონ ახლანდელი ცეცხლ მიმქრალი ცხოვრება, მთავრობისგან არის გამოცემული განკარგულება, რომ, თუ რომ ერთი სოფლის, ან რამდენისამე სოფლის ხალხი შეერთდება, მისცემს პირს ერთ მანეთს და მთავრობასთან ერთად მოითხოვენ სესხს საერთო თანდებობითვე ერთად იკისრონ იმის გადახდა და არა ცალ-ცალკე, მაშინ მთავრობა ხაზინიდგან უფულოდ ფულს ასესხებს. მაშ სოფლის სასამართლობამ უნდა ითვალონ ეს საქმე, თუ ვინიცობაა რომელიმე სოფლის სასამართლომ ისურვა თაენის სოფლის ჩაგონება და სოფელი თანახმა გახდა საამხანაგოთ თაენის შედგენაზე, იმათ ეურჩეეთ სანდო კაცი ერთი ან ორი ვინმე მოთაეე, თუნდ სოფლის მამასახლისი, ან სუდია წამოვიდეს ტფილისს და სასოფლო გაზეთის რედაქცია იკითხოს, ან გ. წერეთლის სტამბა და იმათ ჩვენ უჩვენებთ ან როგორ უნდა სთხოვონ მთავრობას ფული, ან თუ მთავრობამ ფული ასესხათ საამხაგო თაენის სამუშაოებლათ, როგორ უნდა მოიქცენ ამის ანგარიშს სულ «სასოფლო გაზეთის» მწერალნი იკისრებენ, ასწავლიან კიდეც სოფლის მოხელეებს როგორ უნდა მოიქცენ და თვითონ ისინიც მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას. ამ ცოტა ხანში დაბეჭდავთ კიდეც დაწერილებით წესს თუ როგორ ამუშაებენ რუსეთის სოფლებში საამხანაგო თაენსა.

ქ. ზოგსის ს.ბ. ს ქ. ხარ
სახელმწიფო რ.ს.ბ.ლ.ბ.ლ.ბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ

წერილი რედაქტორთან.

უ. რედაქტორო, მართალია თქვენი გაზეთის ფურცლებზე მრავალ ჯერ შეგეხვედრია ლაპარაკი, სოფლიურ უსარგელო და გლეხი-კაცის შემაეიწროებელ ჩვეულებაზედ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ამისთანა ჩვეულებაები კიდეე არსებობს ჩვენს სოფლებში.

14-ს აგვისტოს ჩემის საჭიროებისათვის, მე მომიხდა გადასვლა თფილისიდამ ქვათახევის მ—რს ერთ ჩემს ნაცნობ ბ—თან; რასაკვირველია დაღალული გულ-ახიანათ გიახელით მოსვენებული. ამ დროს შეიქნა ერთი ხალხის ხმაურობა, ყმაწვილების წივილ-კივილი, დიმპლიპიტოს ყვრა, ზურნის ხმა. მოსვენების დრო აღარ იყო, გამოვიხედე გარეთ ურმებს ტევა აღარ ჰქონდა, ცხენებს ადგილი, დედაკაცები და ყმაწვილები თითქოს ერთი-ერთმანეთზედ დგანანო, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რადგანაც არ ვიცოდი ამათი დღეობა იყო, საკმაოთ განცვიფრდი, ამოდენი ხალხი საიდგან მოგროვდნენ, ან რისთვის!—მიუბრუნდი ჩემს მასპინძელს ბ—რს და ვკითხე: მამაო, ეს ამდენი ხალხი საიდგან მოგროვილან, ან რისთვის?

— სალოცავათ შვილო, ხვალ ამ ეკლესიის დღეობა გახლავთ, შეგეწიოსთ მაგის მადლი.

მართალია, მაგრამ საიდგან უნდა იყვნენ მაგდენი ხალხი?

— სხვა და სხვა სოფლებიდგან შვილო, კახეთიდგან, გორიდგან, სურამიდგან, დუშეთიდგან, ერთი სიტყვით ვინ იცის სხვა და სხვა უეზდებიდგან; ეხ შვილო, ეხლა სადღა გახლავთ ის დრო, ძველ დროში აქ ორ ვერსზედაც ვერ იშოვნიდით ფეხ. ადგილს, ხალხი სულ იდგნენ ამ ტყეებში.

დაღამდა, ხალხი უფრო თან-და-თან ქვეფში შევიდა. ღამის საათის ათი იყო, ერთი ვიღაც გლეხი-კაცი მოვიდა ჩემ ბ—რთან, თხოვნა დაუწყო: მამაო, ერთი ხარი მომიყვანია, ყმაწვილი ავათ მყავდა და მაშინ შეუთქვი ამ ეკლესიას, დაილოცა ამის დიდება, თურმე ამ ეკლესიის მიზეზით იყო ავათ. ეხლა ხარის დაკვლა მინდა, ნებას ვითხოვ თქვენგან, თავ-ფეხს, ტყავს, ნახევარს ხარს და ორ აბაზს ფულს თქვენ მოგართმევთ და ნება მოგვეცი დავკლათ ეხლა.

ღვდელმა პასუხი მისცა, არა შვილო, ამ ღამ დრო არ არის, ამ ღამ ხომ მაინც მარხვა არის, ხვალ დილით მოიყვანე, გაგიცნობ შვილო, ვინახარ, ან საიდგან ხარ, ხარს წაღმა დაგიბრუნებ მემრე შეგიძლია დაკლა შვილო.

— **გლეხი.** ხვალ დილით, ბატონო, უნდა წავიდე შინ, მამაო მე მინდა ამ ღამ დავკლა, შორიდგან გახლავარ.

ღვდელმა იმ ღამეს ნება არ მისცა, პირველი ნათქვამი სიტყვები განიმეორა და გლეხი კაცი ისე დაითხოვა.

გლეხმა-კაცმა უკან წაიბუტ-ბუტა, მე ხარი მიყიდნია და მომიყვანია, ვის რა დავა აქვს, როცა მინდა დავკლაო.

ღვდელმა ხელათ სარგებლობა დაჰკარგა. სწორეთ გითხრათ, მე რომ იმის ადგილას ვყოფილვიყავი არამც და არამც იმ სარგებლობას არ დავკარგავდი: აბა ეხუმრებით, ბატონო, ნახევარი ხარი, თავ-ფეხი, ტყავი და ორი აბაზი პაპიროზის ფული! რა ცოტა რომ ვიანგარიშოთ თორმეტს მანეთს ფულს იზამდა. იმ ღამეს ის ხარი დაიკლა და ბევრი სხვა, ხალხმა კარგა ქვეფით დრო გაატარეს, მღვდელ! წვენიც არ რგებია.

მეორე დღე გათენდა, შვიდ საათზედ ჭიდაობა იწყეს, ჭიდაობის მოთავენი კი სოფლის კნიაზები გახლდათ, ვისაც წაავლებდენ ხელს, უსათუოთ უნდა გამოეყვანათ საჭიდაოთ; მაგრამ იმ პირობით, რომ საჭიდაო ჩოხა კნიაზების უნდა ყოფილიყო. ჩოხის შოვნა კი უფრო უძნელდებოდა კნიაზებს, მინამ მოჭიდავეს, წაავლეს ერთ საწყალ გლეხ-კაცს ხელი საყელოში, ჩოხა გვათხოვეო, საწყალი გლეხი კაცი დიდხანს უარზედ იდგა სთხოვდა დაღრეჯილი, ხან ერთს და ხან მეორეს, თქვენდა თქვენი ღმერთი დამანებეთ თავი, ამ ჩოხის მეტი არა მაბადია რა, ამასაც ნუ დამიხევთო. კნიაზები პირველათ პირდებოდენ გლეხ კაცს, თუ დაიხეა ჩვენ ახალს გიზღამთო.

ამ სიტყვებმა გლეხ-კაცს ცოტა არ იყოს ღიმილი მოგვარა, არ იქნება ღმერთმა მაშველოს, ეგ ჩემი შალის ჩოხა, მაუდის ჩოხაზედ გავასაღოვო; გლეხმა-კაცმა ჩოხა მოჭიდავეს დაუთმო. ჭიდაობის დროს, მოჭიდავეებმა, რასაკვირველია, ჩოხა შემოახიეს ერთმანეთს. ბოლოს დახეული ჩოხა გლეხ-კაცს მიუგდეს. გლეხი-კაცი დიდხანს აქეთ-იქით იყურებოდა, აბა ვინ მიზღავს ჩოხასაო; მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ ზედაც არა ვინ შეხედა საწყალს, და ბოლოს თავისი დაფლეთილი ჩოხა ამოიჩარა იღლიაში და დაჭმუხნული და თითქოს ატირებული სახით გაუდგა გზას.—ვინ იცის საწყალს გლეხ-კაცს, ამ ჩოხის ფასი წლიდგან-წლამდის აგროვებდა და ამ დალოცვილებმა ტყვილათ კი დაუხიეს.—ჩოხას თავი დავანებოთ, იმ დალოცვილებს ძალათ, რომ მოჭიდავე გამოჭყვეთ, იქნება ერთი რამე უბედურება მოხდეს, კაცი დამახინჯდეს, ან მოკვდეს, მაშინ ვინ უნდა მისცეს პასუხი მის პატრონს!... ვის არ მოეხსენება, ძველათ ჭიდაობის დროს ცოტა უბედურება არ მომხდარა ჩვენს საქართველოში.

— საათის 12-ტი იყო, წირვა კიდეც გამოდიოდა და შიგ ეკლესიაში, ძალიან მცირედი ნაწილი ხალხი იყო მლოცავები, ისიც როგორც გვიგე იქ მცხოვრებნი. ჩვენს დალოცვილს სოფლელებს, რომ ჰკითხოთ, აქ რათ მოსულხართო, ისინი მაშინ სულგრძელებით გიპასუხებენ, სალოცავათ გიახელითო, ჩვენ ამა და ამ დღეს, ამა და ამ ეკლესიისთვის გვაქვს აღთქმა, უნდა ვილოცოთო.—აქ მე გაბედვით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეკლესიის დღეობას, თუ არა ნამეტანს ნაწილს ხალხს, ვგონებ ნახევარს მაინც ეკლესიის კარები არ უნახავს,—რომ ჰკითხოთ კი სულგრძელებით გიპასუხებენ სალოცავათ გიახელით, ბატონო. ჩემის აზრით, უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მართალი იქნებოდა, რომ ეთქვათ საქეიფოთ გიახელით და არა სალოცავათო.— მაგრამ ეგ კი ძრიელ მაკვირვებს. ღმერთმანი, რომ სამი დღის საეალზედ, რომ არ ატარონ თავ-თავიანთი საქეიფო პურ-ღვინო, განა მაზედ ახლოს ვერ იშოვნიან საქეიფო ადგილს!... და დანარჩენი დროება თავ-თავიანთ ოჯახს მოახმარონ.....

ეკვთიმე ხელაძე

1872 წ. აგვისტოს 15-სა.

საქართველო

«დროების» კორრესპონდენციები.

შორაპნის მაზრა, აგვისტოს 9.

დაწვრილებით რომ ავხწეროთ, რაც ამ ორი კვირის განმავლობაში ქურდობა და ხახლების გაცარცვა მოხდა ამ ჩვენს შორაპნის უეზდში, მერწმუნეთ, დიდსანს მოუნდებით მის წაკითხვას.

მე მოგითხრობთ მარტო ერთ საინტერესო შემთხვევას, რომელიც ამ სამი დღის წინთ მოხდა სოფელს შროშას. ერთი შეძლებული გლეხი-კაცი სცხოვრობს ამ სოფელში. ამას მიხტომიან ერთი ხუთი თუ ექვსი ავაზაკი და დახტომიან საწყალს შინაურს ბედლის წინ, ხახლის სიახლოვეს. ამოლებული ხანჯლებით დადგომიან თავზე და მოუთხოვიათ ფული. კაცს უთქვამს: მე ნუ მომკლავთ და შედით ხახლში, დიდი ფული მაქვს, იმაშია ფული და წაიღეთო. ავაზაკები შესულან, გაუღებიებია ამ კაცის ცოლი და ამისთვისაც უთქვამთ: ფული მოიტანე, თორემ ეს არის მოგკლიდეთო. ბავშვს გაუღებია და დაუწეია საწყალს საზარლის ხმით კივილ-ხმაური. ქალმა ეთხრა თურმე, რომ ფული ბეღელშია, სადაც ჩემი ქმარი სწევსო. ავაზაკები გარეთ გამოხულან.— ქალიც თურმე ეკან გამოეკა ავაზაკებს, კასტალდა ხახლს, და დაიწყო შველის ხმით ყვირილი: გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანნო! ეს ხმა გლეხებმა გიგონეს ახლო-მახლოს და ხმა მოსცეს. მოეშველენ, ზოგმა თოფები დასტაცეს და დაიწყეს მახლი: ნუგეშინაეთ, ეხლა მოვდიეართო. ამ დროს ერთი ავაზაკი გალეხმა კაცმა წაქცია და ჩაიდვა ქვეშ. ხხვები გადაცვინდნენ აქეთ-იქით და სოლოთ ეს ერთი ავაზაკი დარჩა. მოვიდა თურმეამ კაცის ცოლი და იხეთი უთაქა წალდი თავზე, რომ იქვე დახტა ეს ავაზაკი. ამ დროს მეზობლებიც მოგიდნენ. მოახდინეს განკარგულება და ოდა ათი კაცი ეარაულებათ დასდგნენ ხახლის გარეშემო, ეს ავაზაკი არ მოგეტეტონო, და ერთი გლეხი თოფეთ ამ ავაზაკს დაეეენეს თავზედ. გათენებამ დროს ამ კაცს ეიბეში უნახეს ოთხი ასაზი და ერთი ვერცხლის მენდალი. ჰკითხეს: ეს მენდალი შენია, თუ სხვისაო? ეს მენდალი ჩემიაო, ხოქვა თურმე ამ კაცმა, ერთი წლის წინთ მოაკრობამ დამაყიდდოვაო...

ბოლოს გამოჩნდა, რომ ეს კაცი დიდი ხნიდამ ხამსახურში ეოფილა ეეზდის ხასამართლოში იასაულათა და ამ ხამსახურიდამ არ არის დიდი ხანი, რაც გამოსულა.

სოფ. ეეირილა.

შ—ნელი

ქუთაისიდამ, იელიის 12-ს.

წარსულ «დროების» ნომრებში აწერილი იყო უბედურება ქიზიყისა, ე. ი. ხუთმეტი სოფლის პურისა და ღვინის დასეტყვა. ახლა მე მინდა ესთქვა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რას მიაწერენ ქიზიყელები ამ თავიანთ უბედურებას. ხუთმეტს ამ თვისას იყო დღესასწაული, ანუ დღეობა, ერთ ყველაზე უფრო ძალიან დასეტყვილ სოფელში. აქ, როგორაც სხვა მხარეებში, იცვან დიდი წვეულება; როგორც ეკლესიის დღეობაც არის, იქ შეიყრებიან ბილიოთეკ სხვა და სხვა სოფლების ხალხი და აქეთ დიდი სიმღერა, თამაშობა და ბაასი, ვიდრე წირვა გამოვა. ახლა ამ კრებაში დადიან კაცები მოპატიჟეები და ეინც ვის იცნობს, ეპატიჟებიან. მე ვიყავ ხუთმეტს ამ თვისას დღეობას, საცა სხვათა შორის გავიგონე ბევრი ბაასი და სჯა იმაზე თუ რათ მოვიდა სეტყვა? ლაპარაკის დაწყობაში იქ არ ვიყავი, მე მიუსწარ შემდეგს: ერთი კარგათ ჩაცმული და კარგა ხნის კაცი ამბობდა: «კაცო, იმ დღეს ჩვენი მღვდელი დაგვადგა—თუ კარგა არ მოიქცევით, მერმისაც დაისეტყვებითო; რო ჰკითხოთ—როგორ უნდა მოვიქცეთო, გეტყვით: მღვდლებსა და დიაკვნებს განწესებას ნუ დაუპერთო, იმათ ნუ გაჯავრებთო. ახლა ერთი შეხედეთ, თითონ რასა ჰშერებიან: იმ დღეს ჯ—ში ლაპარაკობდნენ, რომ ერთ მღვდელს ერთი ქალი შეუყვარებია თავის მრევლისაო და ეხლაცა ჰყვარობსო. ამა რატო ცეცხლის სეტყვა არ მოვა და არ გაგვწყვეტს სულა; მღვდლები რომ ამასა ჰშერებიან, ხალხმა რაღა ქმნას.» აქ სხვებმაც დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა იმათგანმა აამაღლა ხმა და დაიწყო: «ბოდბეში ქადაგი დაეცაო...» იმას გაწყვეტინა წინანდელმა: «მოიცა, მე გავათაო. მერე ის ქალი გაუთხოვიათ. ქალი რო წაუყვანიათ, ორ თვეს უკან მღვდელიც უკან გამოსდგომია, მისულა ღამე, ქალს ქმარი შინ არა ჰყოლია, დედამთილი კი იქა ყოფილა; მღვდელს ფული უჩუქებია ბებრისათვის და ქალისათვის. იმ ღამეს იქა ყოფილა, დილით მეზობელი ცეცხლისთვის შესულა და უნახამს, გამოსულა და მეზობლებისთვის შეუტყობინებია და შენის მღვდლისათვის ანაფორა და ცხენი წაურთმევიათ; მერე მღვდელს სამი თუმანი მიუცია და თავი დაუხსნია... აი ეს არის სეტყვის მიზეზი... მაშ; კაცო, სეტყვა აქამდის რატო არ მოვიდა, აგერ სამოც-და-ათის წლის კაცი ვარ და ჯერ ამისთანა დროს არ შევწრებივარ. მაშინდელ მღვდლებს სხვისა რომ გაეგონათ, შეაჩეენებდნენ, არა თუ თითონ. არა, დამდგომიან, რვა-რვა მანეთი მოგვეცითო, პური ძვირიაო.»

ახლა წარმოიდგინეთ, რა კეთილი გაევლინა უნდა ექნეს იმისთანა მღვდელს, რომელზედაც მრევლი ამისთანა აზრისა არის?

ვიღაცას უთქვამს, რომ საპნით შეიძლება ხალხის განათლება შეიტყოსო; მე კიდევ ვიტყვი, ქიზიყში ზნეობა, ხასიათი და ყოფა-ქცევა, მომეტებულად ყოფა-ქცევა ხალხისა მღვდლით შეიტყობა. მართლა და კარგი ჭეშმარიტებაა ჩვენი ანდაზა: «როგორიც ღვდელი, ისეთი ერიო.» სწორეთ მოგახსენოთ, ეს

ბიბლიოთეკა

ანდაზა ისე გამართლებული არსად მინახავს, როგორც იმ სოფელში.

აი ეს თვეზე მეტია, რაც აქ წვიმა არა ყოფილა; რვა ივნის მოსულა სეტყვა, ჩაუყრია ხალხი უბედურებაში და დაუნებებია თავი; ამ თვის თვრამეტს და ოცს კი იყო კარგი ხანგრძლივი წვიმები. ამ თვის ოცს აქ მოელოდებოდნენ, ქადაგების და მკითხავების სიტყვით, ქარცეცხლს, მაგრამ წვიმის მეტი არა მოვიდარა. ამ გვალვამ და სეტყვამ ქიზიყში გაამრავლა ქადაგები და მკითხავები, რომელნიც უმისოთაც მრავალნი იყვნენ. შემდეგისათვის მკითხველს გავაცნობ ამ ახალ ქადაგებთან და მკითხავებთან.

ს. სარქისოვი.

იგდირი (ერევნის გუბ.) ივლისის 15-ს.

უავდრობამ აქ, მთებში, პური თითქმის სულ გაახმო და საცა სარწყავი მიწებია, იქ კი კარგი მოსავალი მოვიდა; მაგრამ პური კი ისევ ძვირათ არის. აქაური სარწყავი—«ხალვარი»—რომელიც 30 ფუთია, 20—22 მანეთად ისყიდება ახლა, კალოობას, როცა პური ყოველთვის იაფდება ხოლმე, და კვლავ 5—8—10 მანეთზე ზევით არ ასულა.

ამ ძვირობას, რასაკვირველია, ყიზილბაშს აბრალებენ. არაქსი, საიდამაც აქაურებს გაჰყავთ რუებით სარწყავი წყალი, თითქმის სულ დაშრეს, მაგრამ წყალი კიდევ ვერა ჰყოფნის აქამდინ წყალი ყანებს უნდებოდა, ახლა ბამბისთვის და სხვა საზეთო ჯეჯილისთვის არის საჭირო. აქამდინ რამდენიც უნდა ბევრი წყალი გაეყვანათ არაქსიდამ, მაინც კიდევ სამყოფი მდინარე რჩებოდა; მაგრამ ახლა სულ დაშრეს და ზედ ქლეტა არის; ზოგან სასმელი რუებიც მოსწყდა და წყალს ჭიდანა სვამენ.

სიცხე დგას აქ რეომიურის ტერმომეტრის 22—24° გრადუსამდი ჩრდილოში (სახლში) და მზეზე 38°.

ქ—რე ყანჩელი.

მოსკოვის პოლიტეხნიკური

გამოფენა

ამ წელს მაისიდგან დაწყებული სეკტემბრამდის მოსკოვის ქალაქში არის ყოველნაირი ნახელავი და კაცის ხელიდგან ნაკეთები ნივთების გამოფენა. ამ გამოფენისა და გამოკიდებისთვის მოსკოვის მახლობათ გაიმართა დროებით მთელი დიდი ქალაქი, რომელიც ბევრათ მეტია თვით ქუთაისსზე. აქ არის გამოკიდებული მნახველის თვალწინ რაც რომ მთელს რუსეთში, პოლშაში, ციმბირის ქვეყანაში და კავკასიაში კაცის ნაკეთები რამ მოიძებნება, თუ მიწის მოსავალი, თუ ქსოვილი ყოველნაირი, თუ მადნეულობა, ჭურჭლეულობა, იარაღი ათასნაირი, ნავთი, კირი, ალიბასტრი, რკინეულობა, სპილენძეულობა, თანაქა, ხე და მრავალი სხვა გვარის ნაკეთები ნივთები. ამათ შორის კავკასიის ნახელავს და ნაკეთებს უჭირავს ერთი კუთხე, მაგრამ ნახელავობით კი არ არის შესანიშნავი; რუსეთის ყველა კუთხის საქონელი სჯობია ჩვენსას, თუმცა ბუნება, ანუ ჩვენი მიწა ნაწარმოებით მდიდარია, მაგრამ ეს არის, რომ ხალხია უცოდნელი, ღარიბი, არ იცის თავის ქვეყნის სიმდიდრის მოხმარება და ამისგამო ჩვენი ქვეყნის ხალხის ნაწარმოები, ნივთები, რომელნიც მოსკოვის პოლიტეხნიკურს გამოფენაზე მოგროვდენ სხვა რუსეთის ქვეყნის ხელობასთან შედარებით გამოჩნდენ ცუდი და უარგისნი. დავიწყოთ ფუტკრის ნაწარმოებზე:

თაფლი და თაფლის სანთელი:

გამოფენილი იყო მრავალნაირი თაფლი და თაფლის სანთელი, რომელნიც კავკასიის სხვა და სხვა მხრებიდგან გამოეგზავნათ. ყვავილებით მდიდარი და თბილი ჰაერი კავკასიის აქეთა მხრისა ფუტკრის ნაწარმოებისათვის უებარი ადგილია. ჩვენში ისეთი ალაგებია მაგალითად იმერეთში და გურიაში, სადაც ფუტკრის სკები ზამთარ და ზაფხულ სულ გარეთ არიან. მაგრამ ერთ მეოჯახესაც ვერ მოსძებნი კავკასიის აქეთა მხარეში (დოლიქნელ ბეკმანს გარდა (ისიც ნემეცია), რომ ბლომათ ჰყავდეს ფუტკარი გაშენებული და ბევრს თაფლსა და თაფლის სანთელს ჰყიდდეს. ძნელია იმის შეტყობა, თუ რამდენი თაფლი და თაფლის სანთელი მოვა კავკასიის აქეთა მხარეში წლობით, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ბევრი არა მოდის რა: ტფილისში სინოდის კანტორის თაფლის სანთლის ქარხნისთვის სპარსეთიდგან მოაქვთ თაფლის სანთელი.

საქართველოს ეპარხიის ქარხანამ წარმოადგინა გამოფენაზე მშვენიერი ნაკეთები თაფლის სანთელი. სტეარინისა (კართობილის სანთელი) კი თამაშოვებმა თფილისის ქარხნიდგან.

რკინის სამუშაო იარაღები ჩვენი ქვეყნიდგან ბევრი არა ყოფილა რა. საუკეთესო რკინეულობა ახალციხიდგან იყო გაგზავნილი: ნალები, თოხები, ცული, დანები და სხვა.

ღვინო. ღვინო ორმოცდა ათ ნაირი იყო წამოღებული მთელი კავკასიდგან. ისინი სულ ახალი შარშანდელი ღვინოები იყვნენ, ძველი ღვინო სარაჯოვისა და დალისტნელ კოჩერგინისა იყო. 1865 წლიდგან დაწყებული შემდეგი წლების ღვინო ანანოვისა და მირზოევისა ტფილისში, კნეინა ნინო ჩოლაყაშვილისა კახეთიდგან და მეტაქსისა აფხაზური.

ვინც არ იცის კავკასიის ამბავი ძალიან გაუკვირდება, რომ ამ ღვინით ნაქებს ქვეყანაში ძველი ღვინო ძალიან ძვირათ იშოვება. ღვინის ხელობა სრულებით არ იციან ჩვენში და იმ ნაირათ აყენებენ ღვინოს, რომ ერთი წლის მეტათ ჩვენში ღვინო არ ინახება და იმის წაღება შორს ადგილს ისე შეუძლებელია, რომ ღვინოს ხელი არ მიეცეს. თითო ოროლა მეოჯახე, თუ მოიძებნება ჩვენში, რომ თავის ღვინის მოსავლისაგან ერთს ან ორ ქვევრს საძველოთ ინახავდეს, თორემ სხვა არა.

ვინ იცის, რამდენს სარგებლობას არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა მოკლებული რომ უკეთესად არ აკეთებს თავის ღვინოებს და არა ძველებს, რომ შეიძლებოდეს შორს გაგზავნა გამოუცვლელად. კავკასიას შეეძლო თავის ღვინოებით დაეკმაყოფილებინა მთელი საშუალო გუბერნიები რუსეთისა, რომელნიც იბარებენ რამდენიმე მილიონის საზღვარ გარეთის ღვინოს, რომელიც ბევრ შემთხვევაში კავკასიის ღვინოზე მდარეა. დაახლოვებული გამოანგარიშებით კავკასიაში ათი მილიონი ვედრა ღვინო მოდის და თითქმის სულ აქვე ხმარობენ, რომ ჩვენ ღვინოებს გარეშე ქვეყნებში გასავალი ჰქონდეს, მიუცილებლათ ღვინის მოსავალი ერთი ორად გადაიქცეოდა. მაშ რა მიზეზია, რომ ასეთი სამწუხარომდე გომარეობაშია ღვინის მოსავალი ჩვენს ქვეყანაში?

* * *

ზემოთ იყო მოხსენებული, რომ არ ვიცით როგორ უნდა მოვლა, ისეთი მოვლა, როგორც ევროპაში იციან, და არც იმათ ნაირი ღვინის დაყენება. ვენახსს ისე ღრმათ არ ხნავენ ჩვენში, როგორც საჭიროა და ბელტებსაც არ ფხვნიან. ვაზი ფესვს ღრმათ ვერ იკეთებს და ზემოთ მიწის ნიადაგზე არის გაბანდული, ამისთვის ზაფხულში მზე აფუჭებს და ზამთარში ყინვა; გასვლის დროს ვაზს ძალიან მაღლა უშვებენ, ურჩენენ ბევრს ღერებს, ასე რომ ვაზი მრავალ ტოტებს იკეთებს და მტევნები მომეტებულათ დაჩრდილულია ფოთლებითა და კარგათ არა მწიფდება და მტევნებს მარცვლებიც პატარები აქვთ; თვითონ ვენახებში მიწას ცუდათ მუშაობენ და ზოგგან სულაც არ ახლებენ ხელს. ამოდის შიგ სქელი ბალახი, რომელიც ნახევრობაზე ვაზს ართმევს საზდოს მიწიდხან ამ ბალახს მერე მოთიბვენ. ზოგგან ამასაც არ შვრებიან და რომ კიდეც მოთიბონ, ვითომ ვაზს რას მოეხმარება: ის ვერ დააყენებს ბალახის მავნებელს მოქმედებას. როცა რთველს იწყებენ, ყურძნის სიმწიფეს ყურადღებას არ აქცევენ. იქნება ზამთარმა ავნო და ყურძენი გვიან დამწიფდა, არ აცლიან, რომ კარგათ დამწიფდეს, ეკენისთვის ნახევარს რომ გადასცილდება, მაშინვე მოჰყვებიან მაჭრის დაყენებას. ყურძნის ტევნების ამორჩევას და კარგის ცალკე დაწურვას და ცუდისას ცალკე არავინ ფიქრობს ღვინის გადასხმას, დაყენებას და დაწმენდას არავინ ფიქრობს.

* * *

ნუ თუ არავინ ფიქრობს ღვინის კეთების გაუმჯობესობაზე? მიუცილებლათ ფიქრობენ ჩვენი მებატონეები და კიდეც გამოსცვლიდენ, რომ მუშა ძვირი არ იყოს და ფული ჰქონდესთ. ნეტავ ისე თავისებურათ მოასწრონ ღვინის დაყენება, თორემ გონიერათ და მეცნიერულათ იმის კეთებას ვინ შეიძლებს. როგორ უნდა დააძველოს ჩვენებურმა მეოჯახემ ღვინო, რომ წამის-წამს და განსაკუთრებით იანვარში ფული სჭირდება. ამიტომაც ზამთარში ის ყიდის მთელს თავის ღვინოს იმას გარდა, რაც შინ სჭირდება. გამოჩნდა, რომ ღვინის მკეთებელ მეოჯახეებს ფული არა აქვთ, რომ ღვინის კეთება გააუმჯობესონ. იმას რა ემჯობინებოდა, რომ შინაგანი რუსეთის გუბერნიების ფულიანი ვაჭრები რომ შეეკვრებოდენ ჩვენებურს მებატონეებს, მისცემდენ წინდაწინ ფულს ღვინის დასაყენებლათ. წელსაც ორი სამი წლის ღვინოები, რომელნიც კი იყვნენ მოსკოვის ტეხნოლოღიურს გამოფენაში, მოსწონდათ იქაურებსა. ზოგნი ამბობენ წაღება ჯდება ძალიან ძვირათო; მაგრამ ეს სათქმელი არ არის. ტფილისში კარგი ძველი ღვინო ბოთლი ათ შაურათ და სამ აბაზათ ღირს; ნარდათ ნარდათ რომ იყიდონ, მაშინ ბოთლი უფრო იაფათაც მოვა. წარმოვიდგინოთ, რომ ამისთანა ღვინო ერთი ბოთლი მოსკოვამდის ერთ მანეთად დაჯდა, განა ეს ძვირია. ამისთანა ღვინოს ყველანი უფრო დიდის სიამოვნებით იყიდიან ერთ მანეთად და მეტათაც, ვიდრე უცხო ქვეყნის ბოთლს საძაგელ ორ მანეთიან ღვინოს.

* * *

ჩრდილოეთის კავკასიდგან გამოფენაზე წაიღეს თეთრი და წითელი ღვინოები ტანდოვისა და მამაჯანოვისა. ტანდოვს აქვს დიდი ბაღები ყიზლარში და თავის ღვინოებს ჰგზავნის მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდს. მამაჯანოვებს და ტანდოვს დიდი ვაჭრობა აქვთ ღვინით. იმათი ღვინო მოსკოვში ბოთლი ღირს სამ აბაზ უზალთუნათ. ბევრმა ნახა ამ ღვინოების ჭაშნიკი და ყველანი დარწმუნდენ რომ ეს ღვინო ბურგუნდიის ღვინოს აღარ დაუვარდებაო.

სამეცნიერო ნაწილი

ხორულოს მთა

შესანიშნავ მოვლენას შეადგენს, მექსიკის ვოლკანებს შუა, დიდი ვოლკანის ხორულოს გამოჩენა.

მექსიკის კარდილიერის დასავლეთის ფერდზე, მეიდანმა პირველად ნელა, მერმე უმეტრო სიჩქარით დაიწყო წევა ძირს ჩრდილოეთ დასავლეთისკენ, ისე რომ მექსიკის მაზრაში მეჩეოკში მეიდანი არის მარტო 2,400—3,000 დიდ ოკეანეზე მაღლა. 28 ენკენისთვემდი 1759 წ. ხორულოს მინდორზე იყვნენ დიდი და მშვენიერი სორგოს ყანები, რომელიც ეკუთვნოდა სან-პედროს აგარას, რომელიც სძევს მინდვრის შუა და აქ სახლობენ მარტო ტყვეები და იქაური მცხოვრებლები; მერმე ჩრდილოეთ დასავლეთისკენ არის ტყეები თუმცა დიდ ალაგს იჭერს, მაგრამ ნაყოფიერი კი ძალიან არის ორი წყაროდამ; რომელიც მდებარეობდნენ სანტ-ინეს მთის ქვეით, გამოდიოდნენ ორი პატარა ღელეები, სან-პედრო და კუიტიმბა. ეს ორი ღელე რწყამდნენ აგარას მინდვრებს და მერმე მიმდინარეობდნენ ახლო მდებარე აგარისკენ. ხალხში არის ძველიდგანვე დარჩენილი შემდეგი რწმუნება: «1759 წელს კაპუცინის მისსიონერები მოვიდნენ აგარას მცხოვრებლებთან წმინდა სახარების საქადაგებლათ, მაგრამ მცხოვრებლებმა მიიღეს ცუდათ. კაპუცინებმა სამაგიეროთ დასწყევლეს მათი მშვენიერ ნაყოფიერი მიწა. ისინი დაჰპირდნენ, რომ მათი მიწა დაილუპება მიწიდამ ამოსუ

ლი ცეცხლით და მერე დადგება იმისთანა სიცივე, რომ ყველა მაღლობ ალაგას იქნება მთელი წელიწადები თოვლი. კაპუცინების წინასწარ მეტყველობა ზოგი იმ წელიწადშივე მოხდა: შეშინებული მცხოვრებლები ეხლაც კი ელიან დანარჩენი დანაპირების აღსრულებას და ხედვენ იმის აღსრულებას მხურვალე მიწის თან-და-თან გაცივებაში.» პირველი ნაწილი წინასწარ-მეტყველობისა ასრულდა და ამოქუხვის მერმე გაჩნდა ახალი ეოლკანო და დაარქვეს უწინდელი მინდვრის სახელი. ამ დროს მთელმა მხარემ მიიღო სხვანაირი მდებარეობა, რომელიც აწერილია ამ გვარათ:

ხორულოს მინდვრის მაგივრად ეხლა არის დაფარული ბაზალტოთი ლავით, ფერფლით, გოგირდის ფუზებით და სხვა და სხვათი ცოტათი აწელი ნაწილი, რომელსაც ქვია მათპაისი. აღმოსავლეთისკენ მიწა აიწია უცებ, ზევით მოხსენებული ღელეები მალპაისის ძირში იმალებიან და მერმე დასავლეთისკენ ისევ ჩნდებიან, მაგრამ მდინარეს მაგივრად ცხელ წყაროებათ. მალპაისზეის, მაღლობ ადგილას შუა ეოლკანის ზევით, არიან ექვსი გორა, სამი მათგანი დასავლეთის მხრით ფარავს ნახეთქის ბოლოს მათი ეოლკანის ყელები დიდი ხანია რაც დაფარულია ნაცრის ფერით და თეთრი ეოლკანის ქვიშით. იმათ იქით ჩრდილოეთისკენ თითონ ხორულო, რომელიც არის მალპაისზე მაღალი 1,500 ფ. და დიდ ოკეანეზე—4,000 ფ. ამ გორის გვერდებს ფარავს ბაზალტო ლავა; ამ ლავაში იპოვება მთის ქვები. ლავას ზევით არის ფერფლის კონუსი, რომლის შიგნით არის ეოლკანის ყელი, ამ ეოლკანის ყელიდამ ამოდის ოშხივარი და გაცხელებული ჰაერი, ხორულოს პირველი ამოქუხვის მერმე (1760 წ.) აღარ ამოსულა ლავა, მაგრამ ეს მაინც უნდა მიითვალოს მომქმედ ეოლკანებთან. იქით კიდე არის ორი გორა, თუმცა პირველ მუშაობდნენ, მაგრამ ეხლა კი მგონი დაიფარენ, იმავე ნახეთქზე, რომელიც დიდ მანძილზე მოდის დასავლეთისკენ, არის კვალი ახლანდელი დამალული ეოლკანისა. ამ ექვსივე გორის ფერდები, განსაკუთრებით ხორულოსი და ორი სხვა არიან დაფარული ფუზებით, ესენი არიან შემდგარი პატარა მთის წვერებისგან, რომელიც არიან შემდგარი ნაცრისფერი ქვიშისაგან და ლავასაგან; ფუზების ნახვრეტებიდამ მუდამ გამოდიოდნენ ცხელი კომლი და ოშხივარი. 1827 წელს ესენი სულ გაციდნენ, მიიღეს ჰაერის ტემპერატურა და მათგან აღარ ამოქუხდა გაზები. მიწა ამ ალაგას იყო ძალიან ცხელი, ასე გასინჯეთ ჰაერიც გარშემო 25 მაგივრად ჰქონდა 42 და 45. თუ ჩვენ მიუბრუნდებით იმ მიზეზს, რომლისგანაც ამისთანა ცვლილება მოხდა, მაშინ ჩვენ ვხედავთ იმას 1859 წლის ეოლკანის ამოქუხვაში. სამწუხაროთ თვალით მაყურებლებმა ბევრი არა იციანრა ამ საქმეზე. იციან ის, რომ 29 ივლისიდამ დაწყებული მიწის ქვეშ ისმოდა გრგვინვა, ამოქუხვის წინ იყო ძერა და 29 ენკენის თვეს ის გამოჩნდა შავი ფერფლის წვიმით. აგარას მცხოვრებლები თავის დასაფარავათ გადავიდნენ ინდოელების სოფელში აგვასარკო. აქიდამ უყურებდნენ, როგორ იყო დაფარული ცეცხლით მინდორი, რომელზედაც ქალის სამ საათზე ამოსწია შავი ხორულო. ხორულოს მაღლობიდამ ამოდიოდა ბევრი ნამტვრევები, ფერფლები და მღვრია წყლის ნაკადული. ამაზე უფრო ბევრი არა ვიცით რა ამ მოვლენაზე, მაგრამ ესეც საკმაოა, რადგანაც გვაჩვენებს, როგორ დარა ნაირათ იცვალა მინდორი ხორულო ეხლანდელ მალპაისათ. ეხლა კი ანბობენ, რომ არ შეიძლებოდა, ისე უეცრად ხორულოს ასწევაო, მაგრამ ამას ამტკიცებენ მარტო მცხოვრებლების სიტყვები.

გამგეობა

§ 35.

საზოგადოებაში ყველა ამორჩევა იმისევ დადგენილს წესისამებრ მოხდება. რჩევის დეპუტატების, გამგმბლისა და გამგეობის დირექტორების სამსახურიდგან დათხოვნა, თუ ვინიცობაა ვადის გასვლამდისვე შეიქნა საჭიროა, დაფარული კენჭის ყრით უნდა მოხდეს.

§ 36.

საზოგადო კრების საქმეს ჯერ რჩევა განიხილავს და მერე გამგეობა წარუდგენს კრებას განსასჯელათ. ამისგამო თუ რომელსამე წევრს საზოგადოების სასარგებლო აზრი მოუვიდა თავში, ან თუ უნდა საჩივრის შეტანა გამგეობაზე, იმან უნდა წარუდგინოს თაეის აზრი ან საჩივარი თვითონ გამგეობას, რომელიც ამასთანავე საკუთარს განმარტებას ერთიანათ გადასცემს რჩევის განსახილველად. ამ საქმის წარმოება და დაბოლოვება რჩევაზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ რომელსამე წინადადებაზე თუთხმეტს წევრს აქვს ხელი მოწერილი, ეს უეჭველათ უნდა წარუდგინოს გამგეობისა და რჩევის აზრიანათ საზოგადო კრებას სამის დღის წინათ, სანამდის კრება მოხდებოდეს. წინადადებანი, რომელნიც შეეხებიან წესდებულების გამოცვლას უნდა წარუდგინონ გამგეობას ერთ თვეზე ადრე, ვინამც საზოგადო კრება მოხდებოდეს.

§ 37.

წესდებულებაში რაც ცვლილება უნდა მოხდეს, ამას ყოველსაეე განსჯიან ორჯერ შეყრილ საზოგადო კრებაში და მერე გამგეობა წარუდგენს ამას ფინანსის მინისტრს და სთხოვს ამ ცვლილებათა დამტკიცებას დადგენილი წესისამებრ.

საზოგადოების რჩევა

§ 38

საზოგადოების რჩევა შედგენილია ხუთი დეპუტატისაგან, რომელთაც საზოგადოება თვის შორის ამოარჩევს, გამგებლისაგან და გამგეობის ორი დირექტორისაგან (§ 49).

საზოგადო კრების დაწესებით რჩევის დეპუტატები უფრო ბევრი ამოირჩიონ თუ ვინიცობაა საზოგადოების საქმე უკეთ წაეიდა.

§ 39

დეპუტატები ხუთი წლით ამოირჩევიან. მეორე წლის გასულს წილის ყრით ორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატმა თავი უნდა დაანებონ თავის თანამდებობას; კიდევ ორი წლის შემდეგ ორი დეპუტატი დაანებებს თავს და მეხუთე წლის გასულს თვითონ რჩევის თავს მჯდომარეც გადადგება სამსახურიდგან (§ 40). შემდეგ დეპუტატების სამსახურიდგან გადადგომა უფროსობით იქნება: ვინც ადრე შესულა დეპუტატობის სამსახურში, ის უფრო ადრე დაანებებს თავს თავის თანამდებობას. თუ ვინიცობაა, დეპუტატი ვადაზე ადრე გამოვიდა სამსახურიდგან, იმის მაგიერათ ახალი დეპუტატი ამოირჩევა საზოგადო კრებაში და სანამ თავის მოადგილეს გაუვიდოდეს კანონიერი ვადა, მანამდის დარჩება დეპუტატათ.

შენიშვნა: დეპუტატების რიცხვი რომ გადიდდეს, იმათი სამსახურიდგან გამოსვლის რიგს (§ 38) თვითონ საზოგადო კრება დანიშნავს.

§ 40

რჩევის მოთავეს ანუ თავს მჯდომარეს ამოირჩევენ თვის შორის თვით დეპუტატები. მოთავე თუ არ იქნა რჩევაში დროებით მოთავეს (თავს მჯდომარეს) სხვას ამოირჩევენ.

§ 41

რჩევა კვორუმში ერთხელ მაინც შეიკრიბება. თუ ვინიცობაა საჭირო იქნა, რჩევა გამგეობის მოწოდებით, ან თუ სამმა დეპუტატმა ისურვა, უფრო ხშირადაც შეიკრიბება.

§ 42.

რჩევის სხდომას ექნება ძალა, თუ იმაში ხუთი წევრი მაინც არის და ამ ხუთში სამი დეპუტატი.

§ 43.

რჩევის საქმეა: 1) განმარტოს უფრო დიდი ნდობა, რომელზედაც მეტი არც ერთს საზოგადოების მოამხანაგეს არ უნდა ექნეს.

2) დანიშნოს, რა სარგებელი ანუ პროცენტი უნდა აიღოს საზოგადოებამ ვექსილში, სესხში, შესანახავ ფულში, და წარმავალს ანგარიშში, აგრეთვე უნდა განმარტოს რა და რა პირობებით იმოქმედებს გამგეობა, ამ შემთხვევაში და დანიშნავს კომისიონერობისათვის ხარჯს, თუ გამგეობას ვინმე მიანდო ფული აქ პროცენტიან ქაღალდების გასაღების საქმე 'და ძვირფასი ნივთის შენახვისათვის.

3) უნდა დაწესოს, ანგარიშის მიხედვით თუ რამდენათ უნდა მოუკლონ გამოსარიცხავს პროცენტსა, ან წევრს ვექსილში რამდენი პროცენტი უნდა დაუკლონ § 16.

4) გამგეობის წარდგენით უნდა დანიშნოს უფროსი ბუხგალტერი და ხაზინადარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სხვა მოხელეების დანიშვნა სამსახურში და დათხოვნა დამოკიდებულია თვითონ გამგეობისაგან.

5) საზოგადოების დამტკიცებისამებრ უნდა დაუნიშნოს ჯამაგირი გამგებელს და სხვა საზოგადოების მოხელეებს. (§ 34 6.)

6) უნდა გაშინჯოს სამ თვეში ერთხელ ყველა ვალსესხებითი წერილები და ვექსილები. რომელიც მიუღია გამგეობას, უნდა შეამოწმოს საზოგადოების ხაზინა და ამასგარდა მოულოდნელათ უნდა განიხილოს ხოლმე გამგეობის მოქმედება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რჩევას შეუძლიან დანიშნოს ერთი ან რამდენიმე დეპუტატი, რომელნიც თვალ-ყურს უნდა ადევნებდნენ საზოგადოების მოქმედებას (ოპერაციებს).

7) უნდა შეამოწმოს გამგეობისაგან ნახევარი წლის და თითო თვის წარდგენილი ანგარიშები საზოგადოების საქმეების შესახებ და მთელი წლის ანგარიში და ამაზე უნდა შეადგინოს მოხსენება საზოგადო კრებაში თავის აზრის გამოცხადებით, ვის რამდენი ერგება საზოგადო მოგებითგან. რჩევა მოვალეა ყოველ წლის დამდეგს განმარტოს დაახლოებით რამდენი ხარჯი მოუნდება საზოგადოების გამგეობას და ამისთანა სიი უნდა წარუდგინოს საზოგადოებას დასამტკიცებლათ.

8) გამგეობის წარდგენით განმარტება, თუ რა ნაირ ფასიან ქაღალდების გირაოთი უნდა მიეცეს სესხი საზოგადოებიდგან.

9) წინ და-წინ უნდა განიხილოს ყველა საქმეები, რაც საზოგადო კრების განსასჯელი იქნება და ამ საქმეებზე თავისი აზრი უნდა გამოაცხადოს ხოლმე.

10) უნდა გადაწყვიტოს გირაოებისა და უძრავი ქონების გაყიდვა იმ წევრებისა, რომელთაც საზოგადოებიდგან ფული გამოუტანიათ და ვადარ გადაუხდიათ თავის დროზე. აგრეთვე ამ ქონების გაყიდვაზედაც დაესწრებიან.

11) თუ გამგეობამ რაიმე საკითხავი აღძრა და არ იცის, ზოგიერთს საქმეში როგორ უნდა მოიქცეს, რჩევამ უნდა ახსნას ეს საქმეები გარდა იმისა, რომელიც საზოგადო კრების საქმეა.

12) გამგეობის მოხელეების მაგიერათ თავის წევრებს ჩააყენებს სამსახურში, თუ ისინი დროებით წავიდნენ სადმე, ან თუ გამოვიდნენ, სანამ სამსახურის ვადა გაუვიდოდესთ.

13) უნდა დანიშნოს თავის წევრებთაგან ან საზოგადოების სხვა წევრებიდგან სამი პირი, რომ შეამოწმონ და თვალ-ყური ადევნონ უძრავი ქონების აწერილობას, რომელიც შეაქვთ საზოგადოებაში ფულის სასესხებლათ.

და 14) უნდა გამოარჩიოს და მიიწვიოს საზოგადოების წევრებიდგან, რომელნიც არ ურევიან რჩევაში და გამგეობაში, თორმეტი კაცი ამომრჩეველ კომიტეტის წევრებათ, რომ დანიშნონ, ვის რამდენი ნდობა უნდა ექნეს საზოგადოებისგან იმ პირებთაგანში, რომელნიც ახლად შედიან საზოგადოებაში. ამათვე უნდა დააფასონ ვექსილები.

§ 45.

ვინიცობაა რაიმე ასახსნელი საქმე გამოჩნდა ან თუ საჭირო იქნა წესდებულების გამოცვლა, ამაზე ნების დართვას თხოვნა უნდა წარადგინონ საფინანსო მინისტრს და ამ შემთხვევაში თვითონ რჩევამ უნდა წარადგინოს იმასთან გამგეობის ხელით.

§ 46.

რჩევა თავის მოქმედების ანგარიშს წარუდგენს ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების კრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინიცობაა დეპუტატებსა და გამგეობას შუა რომ რაიმე უთანხმოება მოხდეს, მაშინ ეს საქმე თვითონ საზოგადოების კრებას წარუდგება გასასჯელად.

§ 47.

რჩევის დეპუტატები საზოგადოების წმინდა შემოსავლისაგან თორმეტ პროცენტს ჯამაგირს იღებენ თავის შრომისათვის: ამათში ოთხი პროცენტი რჩევის მოთავესია (თავსმჯდომარესია); და რვა პროცენტს კი დანარჩენი დეპუტატები გაიყოფენ.

§ 48.

დეპუტატები კანონისამებრ პასუხის გებაში მიეცემიან, ვინიცობაა თუ თავის სამსახურს რიგიანათ არ ასრულებს. მაგრამ საზოგადოების ყალში ისინი იმდენათვე აგებენ პასუხს, როგორც სხვა წევრები ესე იგი თავის ნდობის შესაფერად.

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ თითქმის თვენახევრის უწვიმობისა და გვალვის შემდეგ, ახლა იმერეთში კარგი ლაზათიანი წვიმები დაიწყო და ქარი ამოვარდაო; ასე რომ მცხოვრებლებს ცოტა არ იყოს პირველათ იმედი მისცემოთ ნამუშევრის გაცოცხლებისა; მაგრამ ბოლოს კი ამ დაულეველ წვიმებსა და ცივ ქარს როგორც იწერებიან, უარესიც უქნია.

თფილისშიაც ცოტა აგრილდა წასულ კვირის დამლევს, მაგრამ ახლა ისევ ძველებური სიცხეები დაიწყო.

* * *

ჩვენ გაეგონეთ, რომ ბორჯომის ტყის ცეცხლის გასაქრობათ, სალდათებს გარდა, ქათლიდამ ხალხიც წაუსხამთ და ზოგ-ზოგან ცეცხლი გაუქვრიათ. ცეცხლი აბასტუმნამდი უწევს თურმე.

ერთი თფილისის აქმი ინ რანიერთ ურჩევს ტიების დროს ქინის მიღებას: დღეში ოთხჯერ უნდა მიიღოს ადამიანმა თითო გრანი ქინა. ბარშოკი, რომელიც ენაზე უნდა დაიყროს და კარგათ უნდა გაისრისოს ენაზე და ბირში. წყალი ორივეა და ორივე ერთ უნდა ჩაატანოს. ეს ექიმი ამტკიცებს, რომ ვინც ოცდა ოთხ გრანს მიიღებს ამსაირათ ქინას, უაზეკოდ ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში განთავისუფლდება ციებისგანო.

ვერმოობითი განცხადებანი

მასწავლებელს ჰსურს აძლიოს მუზიკის (ფორტეპიანოზე) და ფრანცუზული ენის უროკები. ისევ ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მსურველს შეუძლია შემდეგი ადრესით მიმართოს: ალექსეევ-მესხიევის სახლებში, ბაგრატიონის და მესხიევის ქუჩების ყურში (ანჩისხატთან).

---

5 კაპ. ბატარა სასალხო წიგნი 5 კაპ.

არსენას ლექსი

მესტვირეთაგან თქმული სასალხო პოემა

მეორე გამოცემა

ნიკოლაოზ ეიფანიანისგან გამოტეგმული

ფასი ერთი შაური.

სასალხო წიგნების გასავრცელებლად.

ისყიდება: მელიქოვის სტამბაში, გ. წერეთლის (დუბელიერის) სტამბაში, ივნოვის ბიბლიოთეკაში და სხვაგან.

ისყიდება ალაგი გალავინის პრასპექტზედ, შაბუროვის სახლების პირდაპირ, ანტონოვისა და თამამშოვის სახლებს შუა მდებარე. მსურველთ შეუძლიანთ ანჩისხატის უბანში, განსვენებულის ლაერეტი არდაზიანის სახლში მიკითხონ იმისაევ სახლობასთან, რომელთაც შეუძლიანთ მორიგე და გასყიდვა იმ ალაგისა.

ეკონომიკური შეოლა ორივე ხქესისა და ბავშვების ბადი.

ხიმონოვიჩისა

ხოლოდაგზე, ძველი ინსტიტუტის ქუჩაზე, სვეინიკოვის სახლებშია.

სწავლა დაიწყება 4 სექტემბერს. სწავლის ფასი წელიწადში 60 მან. თუ ერთი ოჯახიდამ ორი ან სამი ყმაწვილი დაიარებიან შკოლაში, მაშინ მეორე 50 მან. აძლევს წელიწადში და მესამე 40 მანეთსა. ბავშვების ბალში სასიარულოთ თვეში 4 მანეთია. ამას გარდა შესელისათანავე კიდევ ერთი მანეთი უნდა შეიტანონ, სხვა და სხვა მატერიალების სასყიდლათ.

დანარჩენ პირობების უფრო დაწვრილებით შეტყობა შეიძლება თვითონ სიმონოვიჩისას, 4 სექტემბრამდი დილ-დილაობიდა შემდეგ ნასადილევს 35-მდი. სათათიდამ

გამოვიდა ტამბიდამ და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში და გ. წერეთლის სტამბაში ახალი ქართული წიგნი:

ხალმა ხალითხვთა თხზულებათა

გამოტეგმული

ქართველი ქალებისგან

წიგნი პირველი

ხარჩვა: მკითხველს (წინასიტყვაობის მაგიერათ).—პარიქელი ბიბი.—ამერიკელი ქალები მეთვრამეტე საუკუნისა.—ჟულ ტარრო.—უკანასკნელნი დღენი ნათანიელ როსელისა.

ფასი ეგვიდგან ორი აბაზი

ეს წიგნები ისყიდება:

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში.

გორში—კნ. ნინა ერისთავისას

ახალციხეს—ანნა მუსხელოვისას

სიღნაღს—რაჟდენ ციციშვილთან

თელავს—ლევან ჯანდიერიშვილთან

ოზურგეთს—მელიტონ ღოღობერიძესთან.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 Августа 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბელიერის. სტამბა. რედ.და გამომცემელი გ. წერეთელი.